ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი №01-07/12

დაბა ქედა, **7 ნოემბერი, 2024 წელი.**

სხდომა დაიწყო: 17:25 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 17:50 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;
გენადი ანანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი გენადი ანანიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/12 ბიუროს სხდომა

7 ნოემბერი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 7 ნოემბრის №01-07/12 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 08 ნოემბრის №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.**

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1.დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 7 ნოემბრის №01-07/12 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95243111-95, 06.11.2024 წელი) საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად და აქვე სხდომაზე დამსწრე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს, გენადი ანანიძეს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინა ბიუროს წევრებისათვის აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია.

გენადი ანანიძემ ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით საპროექტო ორგანიზაცია სს (სააქციო საზოგადოება) ,,აჭარკაპშენი" ასრულებს დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.03.35.680) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი განკუთვნილი იქნებოდა ეკომიგრანტთა და სოციალურად დაუცველთა ოჯახებისათვის. პროექტით განსაზღვრული უნდა იყოს 70 ერთეული ბინა, რომელიც ბენეფიციარებს ჩაბარდება ეგრეთ წოდებული ,,გასაღების ქვეშ". აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარებული საპროექტო კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ შენობების მაქსიმალური სართულიანობა შეადგენდა ოთხ სართულს. ვინაიდან ქედის მუნიციპალიტეტის მერიას განსაზღვრული აქვს 70 ერთეული ბინის მშენებლობა, საჭირო იყო განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება, რადგან მერიას შესაძლებლობა მისცემოდათ მაღლივი კორპუსის მშენებლობის (7 სართული). გენადი ანანიძემ აქვე

აღნიშნა, რომ გარდა მრავალბინიანი კორპუსის მშენებლობისა მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმებოდა დასასვენებელი სივრცის (სკვერის) მოწყობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 8 ნოემბერს ჩანიშნულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მის ნაცვლად მომხსენებლად მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი იაშა ღოღობერიძე იქნებოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი იაშა ღოღობერიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერიძე.

შემდგომ სხდომის თავმჯდომარე ამირან ციწცაძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 ნოემბრის №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1.ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი: იაშა ღოღობერიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 ნოემბრის №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);

3. დამტკიცებული დღის წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში ნონა ბერიძე